№ 205. 28 სეკტემბერი, ქვირა. 1866 — 1880 28 სეკტემბერი, ქვირა. № 205.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

რედაქცია

[illegible] ქუჩაში, ეკლესიის [illegible] ოთახში მარცხნივ ო. ლუარსაბ [illegible] ეუთანხოვის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

[illegible] „დროებაზე“ „ოვერიოზ“ რედაქციაში. გარეშე [illegible] ცხოვრებითოვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ „Иверія“

„დროებაზ“-„ოვერიოზის“ ფასი

		წელიწადში.	6 ზვეს.	ეთვეს
„დროებაზ“-„ოვერიოზ“ ერთად.		13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე	„დროებაზ“	9 მან.	5 მან.	3 მ.
	„ოვერიოზ“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ოვერიოზისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

[illegible] ასოებით ასოზე 1 კაპ., ხუთულებრივის ასოებით [illegible] ასოზე ნახევარი კაპ. ხუთულებრივის ასოთა ასოზე შეთხზული კაპ.

თუ ხანგრძლივ შეთხზულ, რედაქციას გასწორებულ [illegible] ულებში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. [illegible] ბეჭდილ წერილს რედაქცია უფლება კარგ [illegible] ებს ჰკრავს.

განცხადება [illegible] ქართულს, რუსულს [illegible] ზედ.

ქართული თეატრი

დღეს, ქვირას, 28 სექტემბერს არწრუნის თეატრში ქართულის ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ნუ თუ არ მოვა

სცენა-მონოლოგი ერთ მოქმედებად

გ. ეიფეანისა.

II

დივერტისმენტი

III

სცენები

საპატიმროში

ერთ მოქმედებიანი სცენა

ვაკეი წერეთლისა.

ანტრაქტებში იმღერებს აბდულ-ბაღი

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასასში და ოზნაურობის თაძბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტელეგრამები

(ხალხთა შორის საგენტოსი)

ბელგრადი, 24 სექტემბერს. დღეს აქ მოვიდა ბოლგარიის მთავარი, რომელსაც ხალხი ალტაცებით მიეგება.

ლონდონი, 24 სექ. აქ მოვიდა დღეს გლაზგოდამ რუსეთის იმპერატორი იახტა (ხომალდი) „ლივადია“, რომლის სანახავად მრავალი მაყურებლები შეიკრიბა.

ვენა, 25, სექტემბერს. *Pageblatte* ამბობს, ერთი წინადადება არისო, რომელიც ურჩევს სახელმწიფოებს საქმონსტრაციოთ შეერთებული ფლოტი არხიპელაგში გაჩერონ და ოსმალოს ერთი კუნძულთაგანი დაიკავონ, რომ ამით აიძულონ ოსმალეთი მისს ვალდებულებათა აღსასრულებლად. *Neue Freie Presse*-ს ლონდონიდამ აცნობებენ, რომ იქ მოლაპარაკება აქვთ ოსმალეთის, ევროპის და აზიის ნაპირთა შორის ზღვის კორდონის დაფუძნებაზე.

ვენა, 25 სექტ. *Politiche Correspondenz*-ში სწერენ: ოსმალეთის ნოტაზე პასუხის მისაცემად მოლაპარაკება სახელმწიფოთა შორის მსწრაფლად მიდის ევროპის თანხმობა დღეს დადგენილად ჩაითვლება.

ლონდონი, 25 სექტ. ჩინეთის მმართველობის წრეებში ხელ-ახლავ სუფევს ომიანობისადმი მიდრეკილობა. ჩინეთსა და რუსეთს შორის ომი აუცილებელად ითვლება.

პეტერბურღი, 24 სექტ. ოქტომბრის 20-ს პეტერბურღის ოლქის სასამართლოში განიხილება 200 ბრალდებულთა პოლიტიკური საქმე; ბრალდებულებში პირველად ითვლება ხარკოვის გუბერნატორის თავადის კრაპოტკინის მკვლელი — გოლდენბერგი; სსკათა შორის ურევიან საქიმოკაკადემიის სტუდენტი ზუბკოვსკი, კვიატკოვსკი და ქალი ფიგნერი. ეს ორი უკანასკნელნი 5 თებერვალს (სასახლის აფეთქების) მოამხდარს საქმის გამოკრიან სამართალში მიცემულნი.

რომი, 25 სექტ. ოსმალეთის აქაური ელჩი თურხან-ბეგი უცრად დაიბარეს სტამბოლიდამ; დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამას საუურადღებო საქმეს მიანდობენო. სპერძეთის მეფეს ხვალ რომის ბაბი ინახულებს.

ლონდონი, 25 სექტ. *Daily News*-ის აზრით, ევროპის თანხმობას მალე მიეცემა საბრაქტიკო მიმართულება სახელმწიფოთა შეერთებულის მოქმედებითა.

პეტერბურღის ბირჟა, 24 სექტემბერს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი“)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	— — 94	— 12
მეორესი	— — — — — 92	— 12
მესამესი	— — — — 93	— 25
მეოთხესი	— — — — 92	— 25
ალმოსავლეთის პირვ.	— — 90	— 62
ალმოსავლეთის მეორე	— 90	— 50
ალმოსავლეთის მესამე	— 90	— 50
ოქრო, ½ იმპერიალი	— — 8	— 14
თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი	— —	„ — „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 221	— 50
მეორე სესხის	— — — 216	— 50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 24	— 6	პენსი
ბამბურღი	— — 205	— 50	ცენტი
პარიჟი	— — — 255	— 37	სანტიმი
ვენა	— — — 129	— 50	ჰფენიგი
ქავკასიის კერასინი	— — —		

სამეგრელოს საქმეები.

ტფილისი, 27 ენკენისთვე.

სამწუხაროდ, სამეგრელო გამორიცხულია, საზოგადოდ, საქართველოდგან. თუმცა ჩვენს საზოგადოებას და თავად-აზნაურობას ბევრი უფლებები არა აქვს მინიჭებული, მაგრამ სამეგრელო იმასაც მოკლებულია: მთელი სამეგრელოის თავად-აზნაურობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი თავის ღირებულებაში, და არა აქვს ნება მიიღოს მონაწილეობა თავის წინამძღოლის ალმორჩევაში.

გარდა ამისა სხვა-ფრივაც უკეთესმა დაბრუნდა სამეგრელოის ბედი.

რაც რომ რეფორმა შამოვიდა ჩვენში და ახალი სამსაჯულოები დაარსდა, უმეტესი ნაწილი თავად-აზნაურებისა ერთს ჩიკილში და დავიდარაბაში გაება. სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის შვილმა ნიკო დადიანმა, მინგრელსკიმ, მეგრელებს ტყავის გაძრობა მოუნდომა: მთელ თავად-აზნაურობას დაუწყო მამულების თაობაზედ დავა. თუმცა იმან ამით ვერა ავნორა მაგრამ ადვოკატებმა კი სწორეთ, ერთი კი არა, ორი ტყავიც გააძრეს საბრალო მეგრელებს.

ეხლა, როგორც გვესმის, ამასაც არ დააჯერებენ მეგრელებსო; რაღაც კომისია დანიშნულა ნ. მინგრელსკის მამულების ცნობაში მოსაყვანად. ამბობენ, კომისიას უფლება აქვსო, სამსაჯულოების გადაწყვეტილების დარღვეეისაო და საკუთრების განსაზღვრისაო.

რადგან ეს კომისია ნიკო მინგრელსკის თაოსნობით არის გამოგზავნილი, ამისათვის საგულის-ხმოა, რომ ის მთავრის შვილის ინტერესების დამფარველი უნდა იყოს. მაგრამ ერთ საგანს ვეკითხავ: — რა საბუთებით უნდა იხელ-მძღვანელოს კომისიამ? ამბობენ „ინვენტარიის აღწერილობითაო.“ ვნახოთ, საიდან წარმოსდგა ეს „აღწერილობა“ და რა უკილო საბუთის ძალა აქვს იმას:

შემდეგ უკანასკნელის მთავრის დაით დადიანის მიცვალებისა, უწინდელი მმართველობა შეიცვალა და დაინიშნა, უმაღლესის ნებით, დროებითი რჩევა (გამგეობა) (**временной совѣтъ**), რომელსაც შეადგენდნენ ქვრივი მთავრისა ეკატერინა, მთავრის ძმები ბრიგოლ და ალექსანდრე დადიანები და ჭყონდიდელი; თავ-მჯდომარე ამა რჩევისა იყო მთავრის მეუღლე. ამ რჩევას ჰქოდა მინიჭებული უფლება საბოლოოდ გადაეწვეტა ყოველ გვარი საქმე სამეგრელოისა. იმას ექვემდებარებოდა უზენაესი და სხვა სასამართლოები, დაარსებულნი სამეგრელოში მთავრის დროს. იმპერატორის ალექსანდრეს დაგვირგვინების დროს ქვრივი მთავრისა იყო მიწვეული რუსეთში; სამეგრელოს მმართავდა ბრიგოლ დადიანი. ამ დროს მოხდა ერთს სამეგრელოის კუთხეში, ადგილობრივ, სალხინოს აჯანყება. რადგან ადგილობრივ მოხელეებმა ხალხი ვერ დაამშვიდა, ამისა გამო არეულობა გაიზარდა იმ ზომამდინ, რომ თითქმის მთელი სამეგრელოის გლეხობა აჯანყდა; დაიწყეს შესევა თავად-აზნაურთ ოჯახებში და აოხრება. ამ გარემოებამ გამოიწვია მთავრობის მხრით შემწეობა და ხალხი დაწყნარდა, შემდეგ მკაცრის ზომების მიღებისა...

სამეგრელოში, 1865 წლიდამ დაწესდა რუსეთის სასამართლო; დაინიშნა რჩევა (**совѣтъ**) რუსეთის სანოვნიკის მხედველობის ქვეშ და ყოველ გვარი საქმე წყდებოდა რჩევაში მეფის მანტანგისა კანონების საფუძველზედ. ამ დროს მთავრის ცოლი ობლებითურთ, უმაღლესის ნებით, გადაესახლა რუსეთში.

შემდეგ ამისა მთავრის ადგილზე და მამულზე დაინიშნა ოპეკა. ოპეკუნად იყო ბ. დიმიტრი ყიფიანი.

ამავე დროს დაინიშნა აღწერილობა მთავრის ადგილ-მამულისა ცალკე კომისიისაგან, რომელსაც შეადგენდნენ მთავრობისა მხრით დანიშნული პირნი. ოპეკის მხრით ბ. დ. ყიფიანი და ერთი წევრი სამეგრელოის საზოგადოების მხრით. ამათ მოიყვანეს ცნობაში მთავრის ადგილ-მამული და შეადგინეს აღწერილობა, რომელსაც დაერქვა „ინვენტარიული აღწერილობა.“ რამდენათ ჩვენ ვიცით, ამ ინვენტარში იმისთანა მამული არ არის ნაჩვენები, რომელშიაც მონაწილეობა არ ჰქონდეს რომელიმე თავად-აზნაურს, აღწერილობაში კიდევაც ნათქვამია თვითეულთა მონაწილეობა „განურკვეველად,“ ესე იგი ამ ლექსით: „ამა და ამ მამულში მთავარს აქვს საკუთრება, **მაგრამ ადგილობრივ მებატონეთა აქვთ ნაწილი.**“

რა რომ თ. ნ. მინგრელსკი სრული — წლოვანი შეიქნა, იმან უარჰყო თავის მთავრის უფლება; სასყიდლად მიიღო ხაზინიდგან ერთი მილიონი; მას დარჩა მხოლოდ კერძო მებატონის და მემამულის საკუთრების სიმართლე.

სამსაჯულოების რეფორმისა შემდეგ, მინგრელსკისა და სხვა-და-სხვა მებატონების შორის შეიქნა დავა ადგილებზე; რეფორმისწინეთაც იყო ეს დავა აღძრული. უმეტესი ნაწილი ამ დავებისა გადაწყდა სამეგრელოს — თავად-აზნაურების სასარგებლოთ, ბევრი საქმეები ჯერ კიდევ გარდაუწყვეტელი არის სამსაჯულო ადგილებში.

სამსჯულოებმა, ალბათ, ყოველი ღონის-ძიება იხმარა ჭეშმარიტების აღსადგენად და ორთავე მხარის უფლების დასაცველად; და ამის გამო შეუძლებელი უნდა იქნეს ეხლა ძალაში მოყვანილის გადაწყვეტილების დარღვევა...

კომისია, ამბობენ, ინვენტარის აღწერილობით იხელ-მძღვანელებსო და შეუძლია მებატონეებს სასამართლოსგან მინიჭებული ჩამოართვასო.

ჩვენ არ გვჯერა ეს მაგრამ თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით დაუმტკიცოთ კომისიას, რომ ინვენტარი არ არი კანონიერი საბუთი იურიდიულის მხრით და არც იმის ძალით ჩამოერთმევა სამეგრელოის თავად-აზნაურობას ადგილ-მამული, რომელზედაც ნიკო მინგრელსკიმ დავა და საჩივრები ასტეხა და ტყავი დააძრო უიმისოთაც გაღარიბებულ მებატონეებს.

ჩვენ ურჩევთ კომისიას წინ დახედვით მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და სუდისგან გადაწყვეტილ საქმეებს ხელი არ ახოს.

ბატ. დიმიტრი ყიფიანი მონაწილეობას მიიღებს ამ კომისიაში; ურიგო არ იქნება ნამდვილად აგვიხსნას და შეგვატყობინოს — თუ რა მიზანი აქვს კომისიას და რა საფუძველზედ უნდა იქნეს დამყარებული იმის მუშაობა.

ჩვენ ვისურვებთ მხოლოთ, რომ სამეგრელოის თავად-აზნაურების ინტერესები იქნეს კანონიერად დაცული და ხელ-უხლები.

გლ. მიქელაძე.

მასწავლებელთა კრება ქუთაისში

23 ენკენისთვეს.

დილით მეცხრე და მეათე საათზე იყო ორი გამოსაცდელი გაკვეთილი ორი სოფლის მასწავლებლისა. ორივე გაკვეთილი, უნდა სთქვას მართალი კაცმა, ძლიერ კარგად იყო მიცემული.

გაკვეთილების შემდეგ გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორმა ბ. სემინოვმა წარმოსთქვა სიტყვა (ლექცია) პედაგოგის შესახებ, რომელმაც ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ყველა მსმენელებში.

აი შინაარსი ამ ლექციისა:

ოცის წლის წინათ ერთმა გამოჩენილმა დოქტორმა და პედაგოგმა — პიროგოვმა გამოაღვიძა მთელი რუსეთის ხალხი თავისი სტატიებით „კითხვები ცხოვრებისა,“ რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი გაზეთებში. ის მიიქცა დედებთან და ერთს ჰკითხა — თუ რატომ ზრდის ის შვილს? — მე მინდა, მიუგო დედამ, რომ იგი შეიქმნეს ჩინოვნიკი და ბევრი ჯამაგირი იღოს. მეორე დედამ უთხრა, რომ მას ჰსურს შვილი აფიცრად გამოუვიდეს; მესამემ უთხრა, ის აძლევს თავის შვილს სასწავლებელში, რომ დოკტორათ შეიქმნეს და მეოთხემ უთხრა, რომ ის ასწავლის თავის შვილს მხოლოდ მისთვის, რომ ის გახდეს კაცი. ეს მიგება ძლიერ მოეწონა პიროგოვს და მას უკან არის, რომ რუსეთში მიაქციეს ნამეტანი ყურადღება კაცის აღზრდას.“

ბევრი ილაპარაკა ამაზე და ყველას დაუმტკიცა, თუ როგორ უნდა აღიზარდოს კაცი და რა უნდა ჰქონდეს სახეში, როდესაც მამა შვილს აძლევს სასწავლებელში. ბოლოს დაუმტკიცა ყველას საფუძვლიანად საჭიროება ყველა პირთა აღზრდისა, მერე გადვიდა იმაზე — თუ ვინ არიან ხალხის აღმზრდელნი. პირველ ხალხის აღმზრდელად გამოიყვანა სჯული ანუ სარწმუნოება, მეორეთ ბუნება, მესამეთ ოჯახური ცხოვრება ბავშვებისა და მეოთხეთ ღვთის მონანი მასწავლებელნი... ამის შესაფერათ ხალხის აღზრდაც უნდა იყოსო რელიგიური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოო.

შემდეგ ახსნა — თუ რა საგანია პედაგოგია და რა საგნები უნდა იცოდეს პედაგოგმა. პედაგოგის დამხმარე საგნებათ მოიყვანა ანატომია, ფიზიოლოგია, პსიხოლოგია და გიგიენა. ვინც ეს საგნები არ იცის, ის არასოდეს არ იქნება კარგი პედაგოგიო.

აქ კიდევ, ბატ. სემიონოვმა, როგორც გუშინ, წარმოსთქვა ერთი ახირებული ჰაზრი, რომელიც ვერ ახსნეს მსმენელებმა. იმან სთქვა: „გაქვსთ თუ არა თქვენ ანატომია, პსიხოლოგია, ფიზიოლოგია და გიგიენა? არა გვაქვსო, უთხრეს. — მაშასადამეო, სთქვა იმან, მიუცილებლად საჭიროა ვისწავლოთ რუსული ენა, რომ წავიკითხოდ ყველა ეს საგნები. სწორეთ ახირებული ჰაზრია!

ამის შემდეგ ილაპარაკა ბავშების აღზრდაზე. უჩვენა როდის შეიძლება სწავლის დაწყება, ანუ როგორ უნდა დაიწყოს კაცმა პირველად სწავლება, — და ამით გაათავა.

დღეს შუა-დღისას ყველა მასწავლებლები გაიყო ოთხად და შეადგინეს თითო გამ[illegible]ილი პირების თავმჯდომარეობით ოთხი კომისია შესადგენლად სამაგალითო პროგრამმების სხვა-და-სხვა საგნებზე. ამ საღამოს იყო განხილული საღმრთო სჯულის საგანზე შედგენილი პროგრამმა ბლაღოჩინი მ. დ. ღამბაშიძის თავსმჯდომარეობით. საღამოს, ბაასი გაიხსნა თუ არა, ბატონმა დირექტორმა მარსოვმა წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა:

ბ. მარსოვი. ბატონებო! ჩვენ დავნიშნეთ ოთხი კომმისია ოთხ საგანზე შესადგენელად სამაგალითო პროგრამმებისა. ეს პროგრამმები შედგენილია თვითონ მასწავლებლებთაგან. დღეს იქმნება განხილული მარტო საღმრთო სჯულის პროგრამმა. ჩემი ჰაზრი, როგორც წინეთ გამოვსთქვი, ის არის, რომ, საღმრთო სჯულის სწავლება უნდა იქმნეს ყველა განყოფილებაში ქართულს ენაზედ. მაგრამ მაინც და მაინც არ შემიძლია რომ ვსთქვა ეს გარდაწყვეტით, ამისთვის რომ შეიძლება არც კი დამტკიცდეს ეს მთავრობისაგან. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ბატონი მზრუნველი დათანხმდეს ამაზე. საღმთო სჯულის გაკვეთილები თითო განყოფილებაში იქნება სამჯერ კვირაში და სწავლა უნდა გაგრძელდეს სულ სამს წელს. მოისმინეთ პროგრამმა, რომელსაც თქვენ წაგიკითხავსთ მ. დ. ღამბაშიძე და გთხოვთ ყველას გამოაცხადოთ დაუფარავად თქვენი ჰაზრი.

ბატ. იაკ. ფხაკაძე. მე წინეთაც ვსთქვი და ეხლაც უნდა ვსთქვა, არაფერი გზით არ შეიძლება სწავლა ოთხ წელს არ გაერცელდეს. სამღვთო სჯულის პროგრამმის განხილვა არ შეიძლება, სანამ არ იქნება გადაწყვეტილი დრო რამდენ ხანსაც სწავლა უნდა გაგრძელდეს. როდესაც სწავლის გაგრძელების დროს შევიტყობთ, მაშინ შეიძლება მაგ პროგრამმის განხილვა. სამი წელიწადი არ კმარა, რომ გლეხის შვილი რიგიანად მოემზადოს. ის ვერაფერს ვერ ისწავლის, ვერც რუსულს და ვერც ქართულს. ორ ყურდღელს გამოეკიდება და ვერც ერთს ვერ დაიჭერს. მიუცილებლად საჭიროა ოთხი წელიწადი გაგრძელდეს სწავლა სოფლის სკოლებში.

ამაზე შეიქნა ერთი უშველებელი ბაასი. მასწავლებელნი წინაამდეგნი იყვნენ ოთხ განყოფილებაში სწავლებისა; თანახმანი იყვნენ, რომ სწავლა სამი წელიწადი გაგრძელებულიყო სკოლაში და სამი განყოფილების მეტი არ ყოფილიყო. შემდეგ მრავალის ბაასისა გადასწყვიტეს: სწავლა სოფლის შკოლებში ოთხი წელიწადი გაგრძელდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ სამ წელში ერთ წელს შაგირდების მიღება არ იქნება. შემდევ ამისა წაიკითხა მღ. დ. ღამბაშიძემ მისგან შედგენილი პროგრამმა სახალხო სკოლებისათვის თავიდამ ბოლომდის.

იაკ. ფხაკაძე. პირველ შემთხვევაში საკმაოა ბავშებს აუხსნას კაცმა და დაასწავლოს, რომ ღმერთი არის შემქმნელი ყოველისფრისა და მამა ყოველთა. სხვა იმის თვისებაზე არაფერი არ უნდა უთხრას და არც სამებაზე, რადგან ამას ბავშები ვერ გაიგებენ. ლოცვები უნდა ასწავლოს სამღვთო სჯულის მასწავლებელმა, მაგრამ ცოტა და მოკლე და ისიც მეორე წელიწადს. ძველი აღთქმის ისტორიიდამ არაფერი არ უნდა უთხრას, რადგან ისინი ძლიერ ძნელი გასაგებია ბავშებისათვის. ბავშებს, ჩემის აზრით, სწავლება ამ საგანზე ადგილობრივ დღესასწაულებიდამ უნდა დაუწყონ. ამას მოითხოვს პედაგოგის კანონი. დღესასწაულების ახსნის დროს საჭიროა სურათები.

მღვ. ღამბაშიძე. როდესაც ბავშს ელაპარაკები ღმერთზე, საჭიროა აუხსნა მას მისი თვისებანიც, რომ ის არის ყოვლის შემძლებელი, ყველგან მყოფი, საუკუნო, ყოვლად კეთილი და ყოვლისფრის მცოდნე. უნდა უთხრა აგრეთვე პირებზე ცოტა. იმას ბავშები მიიღებენ რწმუნებით ისე, როგორც დიდებშიაც იციან რწმუნებით. თავდაპირველათ ჩვენ [illegible] ცოტა მოკლე ლოცვები, მაგალითებრ: „უფალო შეგვიწყალე“, „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა“, „დიდება მამასა და ძესა“ და „სახელითა მამისათა“. პირველს თვეს ამის მეტი არ არი დანიშნული. შემდეგ პირველ წელშივე არის დანიშნული სწავლის ლოცვა, საუფლო ლოცვა და სული წმიდის ლოცვა.

ეს ლოცვები ისე ძნელი არ არიან, როგორც ბატ. ფხაკაძე ამბობს. ბატონებო! მიაქციეთ ყურადღება ხალხის მოთხოვნილებასაც. ხალხს ძლიერ წყენს, როდესაც ხედავს, რომ მისმა შვილმა სხვა-და-სხვა სულელური ზღაპრები რუსულათ და ქართულად იცის, მაგრამ ლოცვები კი სრულებით არ იცის. ეს ძლიერ წყენს ხალხს და ამისათვის თვითონ დაუწყებენ ხოლმე სწავლებას ზეპირად შინ. ვინც მოდის სკოლაში, თითქმის ნახევარმა იცის „მამაო ჩვენო“!...

რაიცა შეეხება ადგილობრივი დღესასწაულებიდამ სწავლის დაწყებას, მე ძლიერ მიკვირს — რისთვის ამბობს ამას ბ. ფხაკაძე? ჩვენგან შედგენილი პროგრამმაც ამას ითხოვს! პირველ წელში ჩვენი პროგრამმით უნდა იქმნეს სწავლება მარტო თორმეტ საუფლო დღესასწაულებზე. პირველი დღესასწაული არის პროგრამმაში ღვთის-მშობლობა. განა ცოტა ადგილას დღესასწაულობენ ამ დღეს ჩვენში? აგრეთვე სხვა დღესასწაულებიცა. სურათები სოფლის სკოლებში ბევრგან შეიძლება არ იყოს. ამისათვის მე ურჩევ საღრთო სჯულის მასწავლებელს, რომ მიაქციოს ყურადღება ცოცხალ სურათებს ამ დღესასწაულების დროს. ეს სურათები, ჩემის ჰაზრით, ყველა სურათებს სჯობია. გამოიყვანეთ და დაანახეთ ან მოაგონეთ ბავშს ნათლის-ღების ცოცხალი სურათი და როდესაც აგიწეროს წყლის კურთხევა, აუხსენით მაშინ ეს დღესასწაულიც. აგე მიიქეცით სხვა დღესასწაულებზედაც. ჩვენ ეს პროგრამმა შევადგინეთ ტფილისის სახალხო სკოლების პროგრამმის შესაფერად, მაგრამ აქ სწავლება სულ სხვა წესზეა დაწყობილი. როგორც სჩანს, საღრთო რჯულის საგანის პროგრამმა ტფილისის გუბერნიის სკოლებისათვის ძლიერ ცუდათ არის შედგენილი. იქ ცუდათ არის არეულ-დარეული დღესასწაულები. ჩვენ ზოგი გამოვტოვეთ და ზოგი დაუმატეთ. როგორც ზოგიერთი ბატონების წარმოთქმულის სიტყვისაგან გამოდის, (ამას ეთანხმება ქართლ-კახეთის სკოლების პროგრამმაც), ანგელოზებზე პირველ ორ წელიწადს არაფერი არ უნდა გაუმხილო შაგირდებს, როგორც უხილავ საგნებზე. როგორ გნებავსთ, რომ აუხსნათ შაგირდს რა არის ეშმაკი... ღვთის-მშობელს გამოეცხადა ანგელოზი და უთხრაო. როგორ გინდათ აუხსნათ ბავშს — რა ანუ ვინ არის ანგელოზი! აი ამისთანა შეუფერებელი დაწყობილება მოვშალეთ ჩვენ ამ პროგრამმაში და ისე გავყავით სწავლა, რომ რომელ წელშიაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაანებოს ბავშმა სწავლას თავი, მაინც გაყვება სწავლა, რასაკვირველია, ცოტა, მაგრამ დასრულებული და მრთელი. ჩვენში ხშირად ბავშვი მიჰყავთ ერთ წლის შემდეგ, ანუ მეორე წლის შემდეგ. ამისთვის ჩვენი შედგენილი პროგრამმაც ისეთია, რომ რომელ წელშიაც გავა, მას აქვს დასრულებული სწავლა იმ საგნებზე, რაც ისწავლია სამღრთო რჯულისაგან...

ამის შემდეგ წინაალმდეგ Iაკ. ფხაკაძისა ილაპარაკეს ქ. ლორთქიფანიძემ და Tთ. ლექავამ. მცირე ბაასის შემდეგ მათი ლაპარაკისა მიიღეს ეს ახალი პროგრამმა.

ქვირაში იქმნება სამი გაკვეთილი თითო განყოფილებაში. სწავლება ყველა განყოფილებაში ქართულს ენაზედ უნდა იყოს. ამით გათავდა დღეის საღამოის სხდომა.

დამსწრე.

ახალი ამბები

—

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ ტელეგრამმა, რომლითაც გვაცნობებენ, რომ 25 ამ თვისათვის იქაურს ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული ღვინიაშვილის — ასათიანის მკვლელის—საქმე გადაუდვიათ, რადგან ყველა დაბარებული მოწმეები არ გამოცხადებულა.

* * *

ქუთაისიდამვე გვწერენ, რომ ამ ხუთშაბათს, 25-ს გათავებულა იქაურ სოფლის მასწავლებელთა კრება. საღამოს ქალაქს გაუმართავს ამათთვის ვახშამი და დიდის ამბით უდღესასწაულნიათ თავიანთ შრომის კეთილად შესრულება.

უკანასკნელს სხდომაზე მასწავლებელთა კრებას თითქმის შეუცვლელად მიუღია Tფილისის გუბ. სასოფლო მასწავლებელთა 1878 წლის კრებისაგან შედგენილი პროგრამმა. ამ პროგრამმით, სხვათა-შორის, რუსული ენის სწავლება სასოფლო სკოლებში მეორე წლის ნახევრიდამ უნდა დაიწყონ.

ამ საგანზე უფრო დაწვრილებული ანგარიში იქნება დაბეჭდილი ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

* * *

Iვრის ხეობიდგან გვწერენ:

„წელს ძალიან კარგი მოსავალი მოვიდა აქეთკენ პურისა, სიმინდისა და ღვინისა; მხოლოთ სოფ. საგარეჯოს მინდორზედ გაზაფხულზედვე ქარმა დაგლიჯა ყანები და პური სრულებით არ მოვიდა, სიმინდი კი საკმაოდ. ფოდი პური ფასობს ხუთ მანეთად, სხვა სოფლებში კი ოთხად.

„პურის მაღაზიები დიდი ხანია არსებობს; მაგრამ შიგ კი არა აქვსთ-რა და ვერც არა გაჭირებას აღმოუჩენს ხალხს გაჭირებაში. ეს ამიტომ, რომ ყურისმგდებელი არავინ ჰყავს ამ მაღაზიებს.

„Iვრის დამზოგველმა ამხანაგობამ განიზრახა დააარსოს საგარეჯოში ცენტრალური პურის მაღაზია, აპირობს თავის ხარჯით დასდგას პურის ბეღელი, რომელშიაც ჩაეტიოს ოცი ათას ფუთამდე. მონაწილეებს ნება ექნებათ ოც ფუთამდინ წილი იქონიონ, ამათ ექნებათ საანგარიშო დავთარი, რომელშიაც ჩაიწერება—თუ რა წილი აქვს, რამდენი ისესხა, რა სარგებელი გარდიხადა ან რა მოვიდა ერგო წლის თავზე.

„რასაკვირველია ყველა გლეხი, თავადი და აზნაური მიიღებს ამ საქმეში მონაწილეობას, და ისე აღარ დაიქსაქსება, როგორც აქამდინ ჰქსაქსავდნენ სოფლის მაღაზიის პურებს.“

* * *

ჩვენი ფოთელი კორრესპონდენტი გვწერს 26 სექტემბერს:

„ამ ჟამად აქაურს საპყრობილეში როგორც ნამდვილად გავიგე, არიან შეპყრობილნი ოც-და-ათამდე აბხაზები, რომელნიც ომიანობის დროიდამ Oსმალეთში იყვნენ გარდახვეწილნი. რა შემთხვევამ მოაგდო აქ, ფოთში, ეს ბედისაგან შეურაცხყოფილი ხალხი—არ ვიცი. მათ შორის არიან ბავშვები და ქალები. გაგზავნილია ქალალდი გუბერნატორთან კითხვით—რა უყოთ ამ აბხაზებსო.

„პოლიციამ მოგვაგონა როგორც იქნა თვისი არსებობა: გუშინ წინ დაიჭირეს აქ ერთი პატარა ბიჭი 13 წლისა; რომელსაც ბევრი ქურდობა ჩაუდენია ამ ჩვენ ფოთში. როგორც თითონ გამოტეხილა, რაც ფოთში ცუდ-კაცობა მომხდარა, ყველაში მოწილე ყოფილა ეს ბალღი. დაჭერის პირველ ღამეს პოლიციაში ყოფილა დატუსაღებული. ღამე, როგორც ამბობენ, ძილი მოუგონებია და გაგდებულა უსულ-გულოთ; მის მაგალითს ყარაულებიც მიჰყოლიან და კარები კი გაღებული დაუტოვებიათ. ბავშვი წამომდგარა და მშვიდობიანად გაბრძანებულა კარებში. ასრე ამბობენ, მაგრამ მე სულ სხვა ნაირად მეფიქრება გაქცევის მიზეზი...“

* * *

სია საქმეებისა, რომელიც ხვალ, ორშაბათის სხდომაზე უნდა განიხილოს ქალაქის რჩევამ:

Tფ. ღუბერნატორის უარის-თქმა ქალაქის რჩევის შუამდგომლობაზე სახალხო დროს-გატარებითა შესახებ (ზურნა, ყეენობა და სხვ.)

წინადადება ქალაქის Tავისა ცალკე პირის დანიშვნაზედ იმ საქალაქო მიწების დასახედავად, რომელიც მცხოვრებლებს ეძლევათ.

მოხსენება ქალაქის გამგეობისა აგურხანების შესახებ, და სხვ.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

სოფ. საგარეჯოდგან, 24 სექ. ძალიან შეწუხებულია Iვრის ხეობის მცხოვრები გლეხი ახლო - მახლო მცხოვრების თათრებისაგან. ამ თათრების უმთავრესი წარმოება ყაჩაღობაა. შეიარაღებულნი ახალის Oსმალოს თოფებით უეცრივ გ უჩნდებიან მწყემსებს მინდორში ანუ მეგუთნეებს, ასტეხენ საშინელ თოფის სროლას, გააფთხობენ საქონელს, გაირეკამენ Tუქურმიშისკენ, ჩარეკამენ ყასბებთან; ხარი, რომელიც გლეხს უღირს ათი თუმანი, ყასბებზე ჰყიდიან თხუთმეტ მანეთათ. მწყემსები წივილ-კივილით მირბიან სოფელში: არიქა, გვიშველეთ, მდევარი, საქონელი დაგვტაცეს! მანამ ქართველები თავიანთ ჟანგიან თოფებს დამართვენ, ყასბები იმის ხორცს კიდეც ასაღებენ! შარშან იანვრის აქეთია რამდენი დაცემითი ყაჩაღობით წაუსხამთ საგარეჯოს ძროხა და ხარი, რამდენი ქართველი გლეხი მოუკლავთ და ყურის-მგდებელი კი არავინ არის.. წარმოიდგინეთ გლეხები, რომლებსაც თითო უღელი და თითო ხარი ერთმანეთზე აქეთ გადაბმული და რიგ-რიგით ერთმანეთს უხნავენ. ამ დროს დაესხმებიან, დასტაცებენ საქონელს და ზოგს, რომლებიც ძალაზედ დაუდგებიან, დახოცამენ. ეხლახან, ერთი თვე არ არის, ხაშმელი მამულაშვილი გუთანზე მოკლეს, ერთი პატარძეულელი, ერთი გიორგი-წმიდელი ჭიაბერაშვილი. წარსულ იანვრის აქეთ, ალექსი ბუზარიშვილს დასტაცეს ცხენები; ოთხი ყაჩაღი იცნეს; როდესაც გამოუცხადეს თათრების პრისტავს ბ. ვაჩნაძეს, თათრები დაიჭირა, მაგრამ იმათ ბუზარიშვილს ცხენები დაუბრუნეს და პრისტავმა გაუშვა ისინი.

ამისთანა მორიგებეებს პრისტავი თურმე ძალიან ბევრს ახდენს. რასაკვირველია, თათრები წაქეზებულნი არიან, როდესაც დაიჭერენ, მორიგებით ერთი-ორათ მისცემენ; როცა საწყალი გლეხი ვერ მიჰყვება, ჩაუვლის ამ შემთხვევაში და საწყალი გლეხები იღუპებიან. Iაკობ გულისაშვილს მოსტაცეს ოთხი ძროხა, ელიოზ ბუჩიაშვილს გუთნიდგან ორი ხარი, ელიოზ ქეველიშვილს ორი ხარი, გიგოლა ქევლიშვილს, გზირიშვილს და შრდულაშვილს ათი უღელი ხარი, თითქმის ორი გუთნეული, Iაგორ პაპიაშვილს, დავით Iლოაურს 12 ხარი. ამეებმა სულ ჩაიარა, მისთვის რომ ამათ ბოლო ვერ მიაყოლეს დევნაზე და ძებნაზე. მთავარ Iასონ გარსიევს და ზურაბ მაკანტალაშვილს თებერვალში დასტაცეს კიდევ ძროხები. სახქაროთ მიჰყვეს საქმეს ხელი. ს. მუღანლოში იპოვეს დახოცილები. Iმათმა პრისტავმა აქტი შეადგინა; ამათ დაუბრუნეს ძროხები და ამის შემდეგ აქტი დახია ბ. პრისტავმა.

აი ახლა თვრამეტ სექტემბერს ბლოლოჩინი Tევდორე გულისოვას, პეტრე სონიშვილის და მთავარ Iარონ გარსიევის ძროხას დაეცნენ თორმეტი თათარი. ასტეხეს საშინელი Oსმალოს თოფის სროლა. მწყემსები და იქ მყოფნი შეშინდნენ. გაირეკეს ოც-და-ათ სულამდინ ძროხა და ცხენი. Iმ ღამესვე პატრონები ფეხ-და-ფეხ მიჰყვნენ საქონელს და სოფ. მუღანლოში მივიდნენ, სადაც ორი ძროხა ნახეს და ის თათარი, რომელიც ერია შაიკაში, დაიჭირეს. როდესაც მოჰყავდათ, რამდენიმე თათარი სოფლიდგან დაესხა და გააშვებინეს ყაჩაღი. ადგილობრივმა პრისტავმა ვაჩნაძემ არაფერი შემწეობა არ აღმოუჩინა, მხოლოდ როდესაც მივიდა სართიქალის პრისტავი და, მო[illegible] წინაალმდეგნი პირნი, რომელთაც ძალით გააშვებინეს ყაჩაღი, მაშინ პრისტავმა ჩაბარა წინაალმდეგნი პირნი და ყაჩაღი დარჩა თავისუფლათ. საკვირველია, რას ფიქრობს ბატ. ვაჩნაძე? რათ აძლევს თათრებს ოსმალური იარაღების ნებას, როდესაც ეს საყოველთაოდ აღკრძალულია?!

ჯ. კავთელი.

თეატრი

ქართული წარმოდგენა

24 ენკენისთვეს.

წლევანდელი სეზონი ჩვენის ახალს წესზე დადგენილის თეატრისა თ. აკაკი წერეთლის სამ მოქმედებიან დრამმით „ქუდურ-ხანუმ“-ით დაიწყო.

„ახალი წესი“ ჩვენი თეატრის საქმისა მდგომარეობს იმაში, რომ თეატრალურმა კომიტეტმა ანუ, თუ გნებავთ, ამხანაგობამ თითქმის სრულიად მიანება ამ საქმეს თავი და აკაკი წერეთელმა იკისრა ქართული წარმოდგენების გამართვა და გამგეობა ქართულის ტრუპპისა.

ამ პირველ წარმოდგენიდამვე დაეტყო, რომ ახალის წესით, მგონია, უკეთ უნდა წავიდეს ჩვენის თეატრის საქმე, ვიდრემ დღემდინ, კომიტეტის დროს მიდიოდა. სხვა არა იყოს-რა, ადრინდელზე უფრო მომეტებული წესიერება იყო, მოთამაშეებმა რიგიანათ იცოდნენ თავის როლები და კარგათ გაწრთვნილი იყვნენ.

მაგრამ ვერც ამ წესიერებამ, ვერც მოთამაშეებისაგან როლების კარგათ ცოდნამ და კარგათ თამაშმა ვერ დაფარა პიესის ზოგიერთი ნაკლულევანება, რომელიც სცენაზე წარმოდგენის დროს აღმოჩნდა ამ დრამმაში.

ყველაზე უმთავრესი და მაყურებელთათვის საგრძნობელი ნაკლულევანება დრამისა არის ერთობ გრძელი მონოლოგები და დიალოგები. განსაკუთრებით პირველს მოქმედებაში ისეთი გრძნელი და მოსაწყენი მონოლოგები ამოჩნდა, რომ ზოგიერთები ყბებს იმაგრებდნენ, რომ მთქნარება არ დაეწყოთ...

ჩვენის აზრით, სანახევროდ მაინც უნდა შემოკლდეს ზოგიერთი დაუსრულებელი მონოლოგები, რომლის უადგილობა და ნამეტნაობა, თვითონ ავტორმაც, უეჭველია, წარმოდგენის დროს კარგათ შენიშნა.

არა—ყოველი წასაკითხავად მშვენიერი და საამო პიესა ივარგებს სათამაშოდ. სცენას თავის მოთხოვნილება, თავის პირობა აქვს, რომელთაც დაკმაყოფილება ეჭირება, თუ გინდათ, რომ პიესამ რაიმე შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე.

ამ გრძელ მონოლოგების წყალობით მთელ პიესას სიცხოველე აკლდა, მოძრაობა არ იყო სცენაზე. მხოლოდ სიტყვები, რაც უნდა მშვენიერი და საგრძნობელი სიტყვები იყვეს ვერ შეჰქმნენ პიესას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთამაშეებმა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩინებულად, სინიდისიანად აასრულეს თავის საქმე. განსაკუთრებით მშვენიერად გამოვიდა ელენესა (მარ. აბაშიძის) და არჩილის (მოხევეს) სიყვარულის სცენა. ევროპის განვითარებულ და გამოცდილ მოთამაშეებისაგანაც ძვირად გვინახავს ჩვენ, რომ ამათზე უკეთ წარმოედგინოს სიყვარულის განცხადება.

დანარჩენი მოთამაშეები სწორეთ იმ პირთ არდგენდნენ ისე, როგორც აეტორს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ამ ტიპებით სავსე, მშვენიერ დრამას სწერდა. მხოლოდ ერთს, ბაბუნიას ქალს, არ ესმოდა, ჩვენის აზრით, თავის როლი, ვერ გაეგო — თუ როგორ უნდა დაეჭირა თავი. აქაო, გამდელი ვარო, კომიკური როლი მაქვსო, და წამ-და-უწუმ იმას სცდილობდა, რომ რაიოკი გაეცინებინა, გაემხიარულებინა. მუდამ წუწუნი, პრანჭვა, გრეხა, უბეში ხელის ჩაყოფა, თითქო რაღაც მკბენარს ვეძებო — არ შეშვენის ბაბუნიას ქალის ნიჭსა და ხელოვნებას. ამ გვარად ამაზე უკეთესი ნიჭიც გაფუჭებულა და უეჭველია, ისიც გაფუჭდება, თუ მარტო იმას მიაქცია ყურადღება, რომ პრიკასჩიკები და კონტორები გავაცინოვო. ბაცინება ადვილია, საქმე იმაშია, ნამდვილად და გადაუჭარბებელად წარმოადგინოს იმ პირის ტიპი, რომლის გამოხატვაც აეტორს ჰსურდა თავის პიესაში...

განცხადებანი

სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, მელიქოვის სახლში, № 43 არის

ბასაქირავებელი

სადგომი

ხუთი ოთახი, თავის სამზარეულოთი, სარდაფით და სხვა მოწყობილობით. ქირავდება წელიწადში ოთხას-ოცდა-ათ (450) მანეთად. დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან იქვე, სახლის პატრონთან.

5—1

ძმანი მიხეილ, ნიკოლოზ, იაკობ, რაფიელ, ბაბრიელ და კოსტანტინე ისარლოვები გულითადის მწუხარებით აცხადებენ თავიანთ დედის ბარბარეს გარდაცვალებასა და ნათესავებსა და ნაცნობებს სთხოვენ, რათა მობძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ 29-ს ამა სეკტემბერს, დილის 10 საათზე, ალელოვის სახლიდამ, ნიკოლაევის ქუჩაზედ, — ფრანგების ეკკლესიაში, სომხის ბაზარში.

ისყიდება: სახლი, ბაღჩით, და 450 საჟენის დერეფნით, გამოღმა მხარეს ვერისას მაღლობზედ, პამიატნიკის მარცხენა მხარეს, პოდპოლკოვნიკის ტერსტეფანოვისა; ამის და გარდა ისყიდება იქვე სახლთან მიწა 1000 საჟენი ერთად და ნაჭრათაც.

3—1

სამშაბათს, 30 სეკტემბერს, ერევნის მოედანზე აუქციონის ვაჭრობით **გაისყიდება 8 ცხენი დროგებითა და თავის საჭირო მოართულობით.**

2—1

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასკოგელად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—22)

ამ ენკენისთვის 27-იდამ, დილის 10-თი საათიდამ მუდამ დღე, უქმეების გარდა, იქნება **ბასქიდვა** კონიაღნის და გასტრონომიურის საკონლის მაღაზიიდამ, რომელიც გაკოტრებულ ვაჭრებს ი. და ე **ჯაჯულაზოვებს ეკუთნოდათ.** საქონელი გაისყიდება ცალ-ცალკე და თავისუფალის ფასით და დაფასებაზე უფრო იაფ ფასად. მაღაზია იმყოფება ბოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში.

ნაფიცი ვექსილები ა. სტეფანოვი. ბ. იაკულოვი.

(4—2)

ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის სახელოსნო სას. წავლებლისა და პირველ-დაწყებით სასწავლებლის გასსნა დანიშნულია კვირას, 28 სეკტემბერს, დილის 11 საათზე. სახელოსნო სასწავლებლის შენობაში, ეგზარხოსის მეიდანზე.

(3—1)

ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.

(20—3)

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით)

იყიდება მარი ივანეს-ძის

ბროსსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსსეს ზგერთი სტატიები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

გარეშემცხოვრებელთათვის ადრესი:

Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.

(10—6)

ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილოკოვიჩის და ამხ.“ ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ ამშენებულს სახლში)

ბოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი თფილისის ქრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ საღამოს 8-მდე.

10—5

პატენტიანი ზჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ეკვიდები სხურაგებით 2 მანეთიდამ; სარძეგვ 30 კაპ.; რეგვები ... ბი (წელის დასაწყენდი) 3 მ-დამ და ... 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ... ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ ... და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—61)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი. თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ეხლა 2 მეთად დიდს.

(100—56)

ისყიდეთ, შეხედეთ და გაიკვირვეთ.

ამ ცოტა ხანში გაკოტრდა ერთი დიდი ფაბრიკათაგანი, რომელიც „ბრიტანია“-თ წოდებულ ვერცხლით ვაჭრობდა. ამ ფაბრიკისაგან ჩვენ მივიღეთ „ბრიტანია“ ვერცხლის საქონელი, რომელსაც ზედ კრავს ფაბრიკის დალი „ნამდვილი ბრიტანია“ და ვჰყიდით ყოველ ნაირ ფასად, ანუ უკეთ ესთქვათ

მუქთად

ვაძლევთ. ვინაც 7 მან. ქალალდის ფულად გამოგზავნის იმას შემდეგი ნივთები გაეგზავნებათ ლირებულზე ოთხ-ჯერ უფრო იაფად:

6 ცალი მშვენიერი სტოლის დანები, ტარი აქვს „ბრიტანია“ ვერცხლისა, პირი ნამდვილი ინგლისური.
6 — — მშვენიერი ჩანგლები, ერთიან „ბრიტანია“ ვერცხლისა
6 — — მშვენიერი სტოლის მძიმე დანები.
6 — — საუკეთესო ხარისხის საყავე დანები.
6 — — „ბრიტანია“ ვერცხლის ბოძკინტი.
1 — — საწვნე მძიმე კოვზი.
1 — — საყავე მძიმე კოვზი.
6 — — ინგლისური ტაბაკები (ფოდნოსი) „*victoria*“ მშვენიერად მოხატული.
2 — — კოხტა სტოლის შანდალი.
1 — — ჩაის საწური „ბრიტანია“ ვერცხლისა.
1 — — ფინჯანი მაქრის ანუ პილპილის შესანახავი.
6 — — მშვენიერი ნალბაქი კვერხის ანუ ოდკისათვის.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის საყავე სქემა.
1 — — „ბრიტანია“ ვერცხლის კალათი მწვანილისათვის.

სულ 50 ნივთი წინედ 70 მან. ლირებულნი და ეხლა კი 7 მან. ეს ნივთები „ბრიტანია“ ვერცხლიდამ მშვენიერად არიან გაკეთებულნი. ეს ვერცხლი ერთად-ერთი ლითონია, რომელიც მუდამ თეთრად არ რჩება, ასე რომ 25 წლის ხმარების შემდეგ განირჩევა ნამდვილ ვერცხლისაგან. ამის ბასუხს ვაგებთ.

ერთად-ერთი ადგილი მთელი ევროპისათვის, სადაც შეიძლება ეს ვერცხლი შეუკვეთონ არის უმთავრესი დეპო ინგლისის ფაბრიკის „ბრიტანია“ ვერცხლისა. ადრესი:

L. Nelken, ვენაში (*VI, Vindmuhlgasse № 26, Wien*).

ჩემი განცხადება რომ ტყვილი არ არის ამის დამამტკიცებლად აქ გავიმეორებ ქების წერილებს და მადლობათა და განმეორებულს შემოკვეთებას რომელნიც მრავალი ბიმილია მთელი იმპერიიდამს და პოლშის სამეფოდამ: ძსენქ ლავრინოვიჩი ბორონეიდამ; მაიორ სოკოლოვსკი — მოლდავა, ად. პრჟიბოროვსკი — პენზინე, ძ. ძორენინკი ბორდინში, მ. ხმელნიცკი — სპისეკ, ი. ბლიუოსკი — მეძიანა და სხვ. და სხვ. ავსტრი — ვენგრიიდამ — მარიაშ თ. აუერსპერგ ნიდდერშტატში, ვირტემბერგ, ღენერალი ფაბრიცინა რაადში, ი. რაბე სებასტიანბერგში, თ. სამღერი მგერში, იოს. ძიხბერგერი სალცბურგში, ბერარდ ერხი ბაჩევოში, ნოტარიუსი იმარე-მოლნარი ბრას ბეცეკერეკში, იოს ნეიდეკერი ბმუნდენში, დიმიტრი ძოპიც — ბარად. იოს შოდერბეკ ქაინისში და სხვ. და სხვ.

რადგანაც ბევრი გვიკვეთენ ამ ავეჯეულობას, მსურველებს ვთხოვთ მალე გვაცნობონ თავიანთი მოთხოვნილებანი. შეკვეთის დროს გთხოვთ ცხადათ და გარკვეულად ამოიწეროთ ადრესი, რომლითაც ავეჯეულებანი გამოიგზავნებიან. ბადასახადი და სხვა ხარჯი გაგზავნის დროს ერთობ ცოტაა და, ვგონებთ, ერთი მან. მეტი არ იქნება. სხვა ფირმებისაგან განცხადება ამ ავეჯეულებაზედ მხოლოდ მიბაძვაა.

(6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი